პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
შაბათი
26
ივნისი
№ 148
(16578)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ალოობის ამ ცხარე დღეებში

 წითელწყაროს რაიონის ხოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემანდვრეები ამ დღეებში დაძაბულად შრომობენ. აქ 3.300 ჰექტარი უჭირავს თავთავიან კულტურებს; აქედან 2.500 ჰექტარი ხორბალი უთესიათ. ახლა ჭერს ხწრაფად მკიან.

ზემოქედელი კომბაინერები გეგმით გათვალისწინებული 28 ცენტნერის ნაცვლად ხაშუალოდ ჰექტარზე 32 ცენტნერ მარცვალს ლეწავენ.

ხურათებზე: ჭერის მკა ხოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში. (მარცხნიდან) მემანდვრეთა ბრიგადირი შალვა ვეშაგური, მოწინავე მექანიზატორი გიორგი ტუხაშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ხოციალისტური შრომის გმირი არხენ კობაძე მკის დროს.

(ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

დრეგმ, უდანაკარგოდ!

ნოგათეგი საგოოგლოს

მეათე-ხარისხის, ეფექტიანობის-ხუთნლედი

ნახევარი წლის გეგმა — ვადამდე

საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა 25 ივნისს შეასრულეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების იანვარ-ივნისის გეგმა

საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე განაღდებისათვის, 25 ივნისს შეასრულეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების 1976 წლის იანვარ-ივნისის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“, დიმიტროვის სახელობის საავიაციო და ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნების; სამოდელო ფეხსაცმლის, ორჯონიკიძის სახელობის, „ნადიკვრის“, „ამირანის“, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, საწარმოო გაერთიანება „თბილისღვინის“; კონიაკის კომბინატის, შამპანური ღვინოების სამრეწველო გაერთიანების, ცხიმკომბინატის; ქალაქ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, კომბინატ „საქქვანახშირის“, ლითოფონის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, ბამბეულის გაერთიანების, კიროვის სახელობისა და „გელათის“ სამკერვალო გაერთიანებების; ქალაქ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის; ქალაქ ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების, კიროვის სახელობის ტყავის საწარმოო გაერთიანების; ჭიათურის სამთამადნო კომბინატის, ეხგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის; გორის ბამბეულის კომბინატისა და სხვა კოლექტივებმა.

□

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე განაღდებისათვის და 25 ივნისს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების ნახევარი წლის გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს თვის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

გეგმის ვადამდე შესრულებაში თავი გამოიჩინეს გაერთიანება „თბილისღვინის“, „ელექტროაპარატის“, ტყავის წარმოების; დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ფოლად-თუჯსამსხმელო, კონიაკის, შამპანური ღვინოების ქარხნების; № 3 ტრიკოტაჟის, ორჯონიკიძის სახელობის, „ნადიკვრის“, „ამირანის“, 1 მაისის სახელობის სამკერვალო, სამოდელო ფეხსაცმლის, ჩაის საწონი ფაბრიკების, ცხიმკომბინატისა და სხვა კოლექტივებმა.

(ხაქინფორმი).

შეასრულეს ორი თვის გეგმა

გეგეჭკორის რაიონის მშრომელებმა ჭირვეული ამინდის ბეჯითი შრომა დაუპირისპირეს და პლანტაციის კარგი მოვლით, ყოველგვარ ამინდში ფოთლის კრეფის შედეგად ჩამორჩენა გამოასწორეს. 25 ივნისისათვის მოკრიფეს და გადასაშუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარეს 7.974 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად მაის-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 7.960 ტონისა. ეს შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 100 ტონით მეტია.

გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ივნისის დარჩენილ დღეებში ივლისის ანგარიშში მოკრიფონ 800 ტონამდე ფოთოლი. ტემპი ძლიერდება. 25 ივნისს მოიკრიფა 80 ტონა ფოთოლი, წინა დღეს კი მხოლოდ 50 ტონა იყო. — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გვარჯალაძემ.

თიბავენ მუშამოსამსახურეები

თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკური საავადმყოფოს მუშამოსამსახურეებმა გადაწყვიტეს თავისუფალ დროს თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე ამუშაონ ბალახის თიბვაზე.

პირობის შესასრულებლად უველაფერი კეთდება. უკვე 9 ჰექტარზე მეტი ბალახია გათიბული — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა კ. ბორჯაძემ, პარტიულის მდივანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა გ. დოლაძემ, ადგილკომის თავმჯდომარემ გ. ფხაკაძემ.

თამგაძოს პირველი მოსავალი

ქედა. (საკ. კორ.). წლეულს დანდალოელებმა გეგმა-ვალდებულებით სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 150 ტონა თამბაქო. მზრუნველობის შედეგად მოსავალს კარგი პირი უჩანს. უკვე დაიწყეს თამბაქოს შეტენვა. დაწინაურდა პირველი ბრიგადა, რომელსაც ნ. მანველიძე ხელმძღვანელობს.

მ. გოგრგილაძე.

ინიციატორებთან

ივლისის ანგარიშში

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა ბრძოლა დევიზით — „თვითეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან — კოლექტივის შრომის დიდი ეფექტიანობისაკენ“. ამ თაოსნობას მოჰყვა პირველი წარმატება, საწარმოს კოლექტივმა 25 ივნისისათვის გაანაღდა ნახევარი წლის სახელმწიფო დავალება და უკვე ივლისის ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

ახლა საწარმოს კოლექტივის მთელი ყურადღება იქითკენ არის მიპყრობილი, რომ ყოველი ნაწარმი უმაღლესი ხარისხისა იყოს.

ხურათზე: ქარხნის ნოვატორი მუშები — ინიციატორთა ერთი ჯგუფი: გიორგი ავეტიქოვი, მარიამ ოვსიანიკოვა, მედეა ფაზაშვილი, ვასილ ლუკიანოვი და ო. პაპუნაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო.

(ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

გულითადი მილოცვები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ სამორა მოიზეს მაშელს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა კავშირის ხალხებისა და პირადად თავიანთი სახელით გულითადად მიულოცეს მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და მოზამბიკელ ხალხს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი წლისთავი.

მოზამბიკელი ხალხი, რომელმაც კოლონიზატორთა წინააღმდეგ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ნათქვამია დეპეშაში, ახლა ფრელიმოს ხელმძღვანელობით დაადგა ახალი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის გზას და დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, ქვეყნად მშვიდობის განტკიცებისათვის საერთო ბრძოლის საქმეში.

ჩვენ კმაყოფილებით აღენიშნავთ, ხაზგასმულია დეპეშაში, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა, რაც ჩვენს პარტიებსა და ხალხებს შორის დამყარდა დამოუკიდებლობისათვის მოზამბიკელთა ბრძოლის წლებში, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ თავისი განვითარების ახალ ფაზას იწყებს, ფართო სახელმწიფოთაშორისო საფუძველი ექმნება.

საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ურთიერთობის განმტკიცებასა და ყოველმხრივი გაფართოვების დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო საბჭოთა კავშირში მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტი. ამ ვიზიტის შედეგები განმტკიცებს ჩვენს რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების რევოლუციური სოლიდარობა და მეგობრობა, რასაც საფუძვლად უდევს მათი საერთო მიზნები და ინტერესები მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, რასიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში, კვლავაც ნაყოფიერად განვითარდება.

ვუსურვებთ მთელ მოზამბიკელ ხალხს, მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტსა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, ნათქვამია დასასრულ დეპეშაში, შემდგომ წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, თავიანთი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

მოსკოვს გამოემგზავრნენ

ბერლინი. 25 ივნისი. (საკადესი). დღეს მოსკოვში გამოემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის სარედაქციო კომისიის სხდომაში.

ისინი გამოაცილეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. აქსენმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

მეგობრული ვიზიტით

25 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ესაუბრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ო. ფიშერს, რომელიც მეგობრულ ვიზიტად არის მოსკოვში.

განიხილეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები სკკპ XXV ყრილობისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

ა. ა. გრომიკომ და ო. ფიშერმა ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1976-1980 წლების კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის გრძელვადიან გეგმას.

განიხილეს აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი სხვა საერთაშორისო საკითხი. ყველა განხილულ საკითხზე დადასტურდა შეხედულებათა და შეფასებათა ერთიანობა. მოლაპარაკებამ გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

25 ივნისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი საშშოლოში გაემგზავრა. (საკადესი).

სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობა

25 ივნისი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ჩვენ, სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობის მონაწილენი, გულითადად მივესალმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და დიდ მადლობას ვუძღვნით ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებაზე, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სულიერი სიმდიდრის ზრდაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის. ჩვენ ფრთებს გვასხამს მწერლის შრომის მაღალი შეფასება, რომელიც სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა.

ჩვენი ყრილობის მთელი მუშაობისათვის დამახასიათებელი იყო საბჭოთა ლიტერატორების მონოლითური ერთიანობა, მათი საერთო მისწრაფება და მტკიცე გადაწყვეტილება მთელი თავიანთი ნიჭი, მთელი თავიანთი ოსტატობა და შთაგონება მოახმარონ ბრძოლას დიადი კომუნისტური იდეების დამკვიდრებისათვის. ყრილობამ ერთხელ კიდევ დამაჯერებლად დაადასტურა, რომ პარტიის საქმე, მისი მიზნები ორგანულად დაეუფლა საბჭოთა მწერლების შეგნებას.

შემოქმედებითი შთაგონების დაუშრეტელი წყაროა ჩვენთვის მშობელი საბჭოთა ხალხის უდიდესი სასეცოცხლო ენერგია, მისი დიდსულოვნება, ვაჟკაცობა და ნიჭი. ჩვენს მოწოდებად მიგვაჩნია შევქმნათ ნაწარმოებები, რომლებიც მკაფიოდ და სრულად წარმოსახავენ კომუნისტური მშენებლობის პანორამას, ამდიდრებენ ადამიანთა გულსა და სულს ჩვენი იდეალების სილამაზით, ხალხის ხასიათთა სიღრმითა და სიმართლით.

ჩვენი ლიტერატურა, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ძლიერია თავისი პარტიულობით, იდეურობით, ცხოველმყოფელი პათოსით, ადამიანის, მისი შემოქმედებითი ძალების რწმენით. იგი ყოველთვის გამოეხმაურება ყველაზე დიდმნიშვნელოვანს, ყველაზე არსებითს, რითაც ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს და რაც მილიონობით საბჭოთა ადამიანის სიცოცხლისა და ბრძოლის აზრის შეადგენს.

ბედნიერი ვართ ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ბრძნული ხელმძღვანელობით ვიბრძოდეთ ჩვენი საუკუნის ყველაზე მოწინავე იდეების, მშვიდობისა და ხაზოგადოებრივი პროგრესის, ნამდვილი ჰუმანიზმისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების იდეების გმირკვეებისათვის. ჩვენ ვიცხადებთ, რომ განუყოფლად ვუჭერთ მხარს ჩვენი პარტიის საგარეოპოლიტიკურ კურსს, მის ბრძოლას მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რომელიც კაცობრიობას სოციალური და სულიერი განვითარების ფართო პერსპექტივებს უსახავს.

დღეს საბჭოთაში დაიბიჯებს მეათე ხუთწლედი — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი. მწერლის შრომა განუყოფელია მეფოლადისა და მხვნელ-მთესველის, ინჟინრისა და მეცნიერის შრომისაგან. საერთოა ჩვენი საზრუნავიც ხარისხისათვის. ამიტომ ჩვენს ყრილობაზე სერიოზული სიტყვა-ბაასი გვქონდა ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური დონის, ჩვენი მუშაობის შედეგების შეფასებაში მომპოხოვნელობისა და პრინციპულობის ამაღლების თაობაზე. მხატვრული შემოქმედების ხარისხის უმაღლესი კრიტერიუმია ჩვენთვის მისი სწორი იდეური მიმართულება, პარტიული მკზნებრობა, მომწიფებული სოციალური აზრი, მწერლის მახვილი თვალი, დიდი პროფესიული ოსტატობა. ხელმძღვანელობს რა ამ კრიტერიუმებით, საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა მიაღწევს ახალ მიჯნებს, შეასრულებს პასუხსაგებ იდეურ-შემოქმედებითს ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაუსახა.

გაუმარჯოს და დაე განმტკიცდეს მოძმე ხალხთა დიადი თანამეგობრობა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიასა და მის მებრძოლ შტაბს — სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობა

საბჭოთა ლიტერატურის საპატიო მისია

სსრ კავშირის მწერალთა მეექვსე ყრილობაზე მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა წარსდგა ერთიანი მისწრაფებებით, ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული. 25 ივნისს კრემლის დიდ სასხლეში გაიმართა ყრილობის საბოლოო სხდომა.

ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გ. მ. მარკოვმა.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს სსრ კავშირის მწერალთა მეექვსე ყრილობის წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ამ დოკუმენტში საბჭოთა მწერლები დიდ მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად გადაჭრით ვამბობთ გამალებულ შეიარაღებას, მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას მტრების ხრიკებს. ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა მოაწყოს შაბათობა და გამომუშავებული ფული მშვიდობის ფონდს გადასცეს.

კრებაზე გამოვიდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაზონშემკეთებელი ქარხნის მუშა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. გაჩენლაძე, ელექტრონულ-ოპტიკური ტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი გ. სამხარაძე, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მე-13 საშუალო სკოლის პედაგოგი ვ. ნაკაშიძე, დიასახლისი ნ. ცხადაძე, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მოსწავლე ლ. დინგაშვილი, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი შშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლის კონსტრუქციულ პროგრამას, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა.

კრების მონაწილეებმა ხელი მოაწერეს შშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას.

(საქინფორმი).

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობამ

□

ტერატურისა და ხელოვნების აყვავებაზე, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სულიერი სიმდიდრის გამრავლებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის. საბჭოთა მწერლებმა განაცხადეს, რომ განუყოფლად უჭერენ მხარს პარტიის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მის ბრძოლას მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, და აღუთქვეს, რომ საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა გავა ახალ მიჯნებზე, შეასრულებს სკკპ XXV ყრილობის მიერ მის წინაშე დასახულ პასუხსაგებ იდეურ-შემოქმედებითს ამოცანებს.

ამით სსრ კავშირის მწერალთა მეექვსე ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. (საკადესი).

25 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობის მიერ არჩეული სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია კ. ა. ფედინი. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად არჩეულია გ. მ. მარკოვი, გამგეობის მდივნებად — 48 კაცი.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის პირველ სხდომაზე ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. პ. ტელეშოვი.

(საკადესი).

„პრავდის“ ფურცლებზე

გავაფართოოთ თიბვის ფრონტი

სკკპ XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი, რომ მეცხოველეობის აღმავლობის საფუძვლად კვლავ ხაკვები რჩება. ამიტომ დიდი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ხაკვების კულტურების მოხავლიანობის ასამაღლებლად, მდელოებისა და ხაძოვრების გასაუმჯობესებლად“.

ხაკვების დამზადების მიმდინარეობა და მისი ხარისხი, — წერს გაზეთი მოწინავეში, — შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისათვის მექანიზატორთა შეჯიბრების გაჩაღება სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. კომუნისტთა გალი ის არის, რომ უმეთაურონ ამ სამუშაოებს, უჭვეონ დამკვრელური შრომის პირადი მაგალითი მდელოებზე. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ შაბათობებისა და კვირაობების გამოცდილება, ალოობაში ჩავიბაო სოფლის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, უნარიანად გამოვიყენოთ შეფ საწარმოთა და დაწესებულებათა დახმარება.

საზოგადოებრივ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების წარმატება დღეს მინდვრებში და მდელოებზე წყდება. ფერმების უზრუნველყოფა ხაკვებით ნიშნავს მტკიცე ხაფუძველი ჩავუყაროთ ამ დიდმნიშვნელოვან დარგს.

ვ. ი. ლენინის იდეურ-თეორიული მემკვიდრეობის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ფილოსოფიურ რვეულებს“, რომლებიც 1895-1916 წლების ჩანაწერებს შეიცავს. მათი შინაარსი — წარსულის თვალსაჩინო მოღვაწეთა ნაშრომების კონსპექტები, შენიშვნები ფილოსოფიური, ეკონომიური, საბუნებისმეტყველო წიგნებისა და სტატიების არეებზე, მარქსისტული მსოფლმხედველობისა და მეთოდის შემდგომი დამუშავების მოკლე მონახაზები და გეგმები საშუალებას იძლევა ვეზიაროთ რევოლუციური დიალექტიკის უდიდესი ოსტატის შემოქმედებითს ლაბორატორიას. ლენინის „ფილოსოფიური რვეულების“ მესამეცე წლისთავის გამო გაზეთი აქვეყნებს აკადემიკოს ბ. კედროვის წერილს — „ლენინი და დიალექტიკა“.

აქვე ნახავთ გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის **გ. რატიანის** მიერ ლისაბონიდან გადმოცემულ სტატიას — „**პორტუგალია არჩევნების წინ**“.

24 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში აღრიცხეს მეცნიერ ფიზიკოსთა ახალი აღმოჩენა — „**აფეთქებითი ელექტრონული ემისიის მოვლენა**“. როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცემბრის განყოფილების ატმოსფეროს ოპტიკის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გ. მეხიკი აღნიშნავს, ფეთქებად ემისიას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს ლითონის დამუშავების ტექნოლოგიაში. ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დარგის — მძლავრდნის ელექტრონიკის შემდგომ განვითარებას („აფეთქებით შობილნი“).

ПРАВДА

უნივერსიტეტის სტუმრები

თბილისში მუშაობას განაგრძობს ეკონომისტთა საერთაშორისო კონფერენცია აღმოსავლეთ-დასავლეთის თანამშრომლობის პრობლემებზე. დისკუსიებს შორის შესვენების დროს კონფერენციის მონაწილეთა ეენობიან დედაქალაქის ცხოვრებას.

24 ივნისს საბჭოთა და საზღვარგარეთელი ეკონომისტები ეწვივნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ხ. ჯორბენაძემ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის შექმნისა და განვითარების ისტორია, სახალხო მეურნეობის მეგრი დარგისათვის მომავალ სპეციალისტთა მომზადებისა და აღზრდის საკითხები.

სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ, თუ როგორ ამზადებენ სტუდენტებს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, სადაც ცოდნას ეუფლება ექვსი ათასამდე კაცი.

* * *

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატებმა 25 ივნისს ვახშამი გამართეს თბილისში ჩამოსულ ეკონომისტთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთა პატივსაცემად.

ვახშამსა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქინფორმი).

მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის

პლეხანოვის სახელობის კულტურის სასახლეში გაიმართა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების ხალხმრავალი კრება, რომელიც მიეძღვნა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, საყოველთაო განიარაღებისათვის სტოკჰოლმის ახალ მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვებას.

კრება გახსნა პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ანჩაბაძემ. ტრიბუნაზეა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მუშა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ვ. გონჩაროვი.

ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნისა და ჩვენი გაერთიანების სხვა საწარმოების მრავალრიცხოვანი კოლექტივები, — თქვა მან, — მხურვალედ იწონებენ ლენინური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად გადაჭრით ვამბობთ გამალებულ შეიარაღებას, მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ვიბრძოლებთ ჩვენი საუკუნის ყველაზე მოწინავე იდეებს, მშვიდობისა და ხაზოგადოებრივი პროგრესის, ნამდვილი ჰუმანიზმისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების იდეების გმირკვებისათვის. ჩვენ ვიცხადებთ, რომ განუყოფლად ვუჭერთ მხარს ჩვენი პარტიის საგარეოპოლიტიკურ კურსს, მის ბრძოლას მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რომელიც კაცობრიობას სოციალური და სულიერი განვითარების ფართო პერსპექტივებს უსახავს.

დღეს საბჭოთაში დაიბიჯებს მეათე ხუთწლედი — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი. მწერლის შრომა განუყოფელია მეფოლადისა და მხვნელ-მთესველის, ინჟინრისა და მეცნიერის შრომისაგან. საერთოა ჩვენი საზრუნავიც ხარისხისათვის. ამიტომ ჩვენს ყრილობაზე სერიოზული სიტყვა-ბაასი გვქონდა ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური დონის, ჩვენი მუშაობის შედეგების შეფასებაში მომპოხოვნელობისა და პრინციპულობის ამაღლების თაობაზე. მხატვრული შემოქმედების ხარისხის უმაღლესი კრიტერიუმია ჩვენთვის მისი სწორი იდეური მიმართულება, პარტიული მკზნებრობა, მომწიფებული სოციალური აზრი, მწერლის მახვილი თვალი, დიდი პროფესიული ოსტატობა. ხელმძღვანელობს რა ამ კრიტერიუმებით, საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა მიაღწევს ახალ მიჯნებს, შეასრულებს პასუხსაგებ იდეურ-შემოქმედებითს ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაუსახა.

გაუმარჯოს და დაე განმტკიცდეს მოძმე ხალხთა დიადი თანამეგობრობა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიასა და მის მებრძოლ შტაბს — სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობა

საბჭოთა ლიტერატურის საპატიო მისია

სსრ კავშირის მწერალთა მეექვსე ყრილობაზე მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა წარსდგა ერთიანი მისწრაფებებით, ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული. 25 ივნისს კრემლის დიდ სასხლეში გაიმართა ყრილობის საბოლოო სხდომა.

ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გ. მ. მარკოვმა.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს სსრ კავშირის მწერალთა მეექვსე ყრილობის წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ამ დოკუმენტში საბჭოთა მწერლები დიდ მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად გადაჭრით ვამბობთ გამალებულ შეიარაღებას, მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ვიბრძოლებთ ჩვენი საუკუნის ყველაზე მოწინავე იდეებს, მშვიდობისა და ხაზოგადოებრივი პროგრესის, ნამდვილი ჰუმანიზმისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების იდ

ბასეჯის კონტროლიორი

№ 113

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

წერილის უკან ადამიანია

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შემოწმების შედეგად ამსჯელა და მიიღო სათანადო დადგენილება ამის შესახებ, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და მის საქვეუწყებო ორგანიზაციებში წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე სკკ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 29 აგვისტოს დადგენილება და „მოკალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულება.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, ამ მხრივ სამინისტროსა და მის საქვეუწყებო ორგანიზაციებში გარკვეული მუშაობა გაწეული. ამასთან ერთად შემოწმებულ საწარმოებში სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები გამოვლინდა.

სამინისტროსა და დაქვემდებარებულ საწარმოთა ხელმძღვანელები სათანადოდ არ იყენებენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებს და საჩივრებს, იკრძალება მშრომელთა პირად მიღება, როგორც იხფორმაციის გარკვეულ წყაროს ადგილზე საქმის ფაქტური მდგომარეობის გასარკვევად, არ ხდება შემოსული წინადადებების, განცხადება-საჩივრების ანალიზი, მათში წამოჭრილი საკითხების მიზეზებით სათანადო ღონისძიებების დასახვა. არადამაკმაყოფილებლად სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციები სამინისტროს ხელმძღვანელების მიერ საწარმო-დაწესებულებებში მშრომელთა პირადი მიღების შესახებ. უფრო მეტი. სამინისტროს არც ერთ პასუხისმგებელ მუშაკს არ მიუღია მშრომელები უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში.

ზოგან არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება საქმისწარმოების გაუმჯობესების შესახებ, რის გამოც შეუძლებელი ხდება განცხადება-საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის ნამდვილი მდგომარეობის გარკვევა. წერილების ნაწილი ჩვეულებრივ ჟურნალშია გატარებული, ზოგი საერთო საანცესტორო საქმისწარმოების ჟურნალში, ოღონ დიდი ნაწილი საერთოდ არ არის აღრიცხული. ხშირად წერილებში მოყვანილი ფაქტების შემოწმების შედეგების დამუშავება დადგენილი წესის მიხედვით არ ხდება.

სამინისტროს აპარატში, მის დაქვემდებარებულ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მაგალითად, როგორიცაა ცხინვალის და ახმეტის სატყეო, თბილისისა და სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატები, თბილისის საავეჯო კომბინატი „განთიადი" (დირექტორები კ. ბუკაევი, დ. არველაძე, დ. რობაქიძე, ვ. კოპალეიშვილი და ა. დუნდუა, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეები ხ. მამისთვალოვი, ნ. დვალი, ა. კოპაძე, გ. სიხარულიძე და ს. ჯარჯიმანოვი) და სხვა, არ იცავენ მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის კანონით დადგენილ ვადებს. მარტო სამინისტროს აპარატში წარსულ 100 წერილიდან ვადის დარღვევით განხილულია 10, ხოლო ძირეულ ორგანიზაციებში გაგზავნილ 13 წერილიდან უმრავლესობაზე დიდი დაგვიანებით იმსჯელეს. თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადში" მოქალაქეთა 31 საჩივრიდან, რომელიც ივნისს ხარისხს შეეგებოდა, 8 ვადის დარღვევით არის განხილული. ასეთივე მდგომარეობაა ცხინვალის სატყეო კომბინატშიც.

ზემდგომი ორგანოების არაერთგზის მითითების მიუხედავად ახმეტის და ცხინვალის სატყეო, თბილისის გრეხილი აეკრის, თბილისისა და სამტრედიის ხის დამამუშავებელ კომბინატებში, თბილისის № 1 და № 2 ავეჯის ფაბრიკებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მშრომელთა მიღების ორგანიზაცია, არ აქვთ დანიშნული დღეები და საათები. უფრო მეტიც. საერთოდ არც ერთ ორგანიზაციაში არ წარმოებს პირად მიღებაზე მისულ მოქალაქეთა აღრიცხვა.

აღნიშნული დარღვევებისა და ნაკლოვანებების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ადგილზე ორგანიზაციის ხელმძღვანელები და სახალხო კონტროლის ჯგუფები საკმაო მოთხოვნილებას არ იჩენენ მშრომელთა წერილების განხილვა-გადაწყვეტის შესახებ არსებული წესის ზუსტად დაცვის საქმეში.

ამ და სხვა ნაკლოვანებებმა ვინო კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილეს დ. ხაბაშვილს მიეთითა.

ქირუტყვს — საქმეების წლინახევრის მარაგი

ჩვენი საგუშაგოს წვილი

შარშან პირუტყვის საკვების დამზადებაში მოპოვებული ფარმატებისათვის ჩვენი კოლმეურნეობა დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირდამაბალი წითელი დროშით და ფულადი პრემიით. ამ წარმატებებში ჩვენი ჯგუფის წევრთა წვილადაც არის.

წლეულსაც ენერგიულად შეროშობთ. განსაკუთრებით კარგად მუშაობს სახალხო კონტროლის საგუშაგო მეცხოველეობის ფერმაში. რომელსაც ნ. თოლორდავა ხელმძღვანელობს.

ახლა მთელი ჩვენი გულისყური პირუტყვისათვის საკვების დამზადებაზეა გადატანილი. ამ საქმეში გამოირჩევიან კონტროლიორები ლ. კირკიაშვილი, ლ. ებნინიძე, ა. არწივიძე, გ. ფურცელაძე, ბ. გუმბერიძე და სხვ. თვითეულმა მათგანმა 3-4 ტონა საკვები დაამზადა.

საკვების დასამზადებლად „ჯინპარაულისა" და „წინველის" ფერმებში ფარდობები როდი ქმარა. უნდა გამოვნახოთ ახალი რეზერვები. ჩვენთან ვენახების ნაკვეთებისა და ყანის ნამარგებზე ბზრდება ბალახი, თივა. არის ალრეთვე გამოუყენებელი ადგილები. სადაც ბალახია ბალახი. ახლა სწორედ ამ ადგილებში ვთობავთ.

ე. ზირაქაძე,
დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ჩვენი კოლმეურნეობის საერთო წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი სახალხო კონტროლიორებსაც მიუძღვით. მათი ოჯახელი თვალი შრომის ყველა უბანს სწვდება.

კოლმეურნეობის ყველა მემინდერეობის ბრიგადაში მოქმედებს სახალხო კონტროლის საგუშაგოები. ხოლო აგროუბნებში, მექანიზაციის ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში შექმნილია სახალხო კონტროლის ჯგუფები. სულ ათი საგუშაგო და ექვსი ჯგუფია, რომელთა რიგებში 60-ზე მეტი კონტროლიორია გაერთიანებული. მათ საქმიანობას უნარიანად განაგებს სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფი (თავმჯდომარე ა. მამიკაშვილი).

ჩვენი კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი სიბრძნეა უთუოდ ის არის, რომ სახალხო კონტროლიორების აქტიური მოქმედებით არ გვქონდეს შეფერხებები საკოლმეურნეო შრომის არცერთ უბანზე. მათი ხელშეწყობით წარმატებებია მოპოვებული შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში, სახალხო ქონების დაცვების და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფის, ისე საუბნო ჯგუფებისა და საგუშაგოების სამუშაო გეგმებს ყოველთვიურად განიხილავთ და ვამტკიცებთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. ამასთან კრებებზე სისტემატიურად ვისმენთ ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელთა, თუ ცალკეულ კონტროლიორთა ინფორმაციებს გაწეული მუშაობის შესახებ. განვიხილავთ დაპრინციპულად ვმსჯელობთ კონტროლიორთა მიერ გამოვლენილ ნაკლოვანებებზე.

მაგალითად, წლეულს ზამთრის თვეებში კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში სახალხო კონტროლის ჯგუფმა სერიოზული ნაკლოვანებები გამოაელინა.- პირუტყვს საკმარისი რაოდენობით და დროულად არ ეძლეოდა საკვები. ბოსლებში უსუფთაობა იყო. ყოველივე ამის გამო დაბალი იყო შეხორცება, იკლო წველადობამ და საერთოდ რძის წარმოებამ. კოლმეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხზე და დასჯა დანიშნეს ზოოტექნიკოსი ა. აზრაშვილი, ფერმის გამგე ვ. გაბოშვილი, ბრიგადირი ი. აღლემაშვილი და სხვ.). ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად კი დასახული იქნა კონკრეტული ღონისძიებანი. მაგრამ მდგომარეობა უცბად როდი გამოსწორდა. გადაიღება დღეები და კვლავ დაბალი იყო წველადობა. ამასთან მეტად უხარისხო რძე ბარდებოდა მიმღებ პუნქტს. მაშინ სახალხო კონტროლის ჯგუფმა (ხელმძღვანელი გ. სერაპიშვილი) ზედიზედ რამდენიმეჯერ მოიწყო საკონტროლო წველა და მტკიცედ ზედამხედველობა დაიწყო რძის ცხიმიანობასა და სისუფთავეზე. და ეს შედეგიც, მარტის შუა რიცხვებიდან კოლმეურნეობა უკვე მაღალი ხარისხის რძეს

რ ო ც ა ჯ გ უ ფ ე ბ ი აქტიურობენ

პარტიული ხელმძღვანელობის ძალა

აბარებს სახელმწიფოს, მატულობს წველადობაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს დროში დაფარავთ რძის წარმოებაში არსებულ ჩამორჩენას.

კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები და გამგეობა მეცდამ უფრადღებით ეკიდებიან სახალხო კონტროლიორთა სიგნალებს. მემინდვრეობის № 8 ბრიგადის საგუშაგოს წევრებმა კ. მღებრიშვილმა, ი. აბულაძემ, მ. ზაბაშვილმა გვაცნობეს, რომ იქ უხარისხოდ დამუშავეს ხეხილის ბალები. კოლმეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა და გამგეობამ სასწრაფოდ მიიღეს ზომები და ეს სამუშაო ხელახლა შესრულდა.

კონტროლიორთა ფეხზელ თვალს არ გამოეპარა, მემინდვრეობის № 9 ბრიგადაში რომ უხარისხოდ არჩევდნენ სათესლე კარტოფილს. საგუშაგოს ხელმძღვანელმა ს. აღლემაშვილმა ამის შესახებ აცნობა პირველად პარტიულ ორგანიზაციას. დასაბამი ალო ონისძიებების შედეგად დროულად გამოსწორდა აღნიშნული ხარვეზი. მსგავსი ბალალითებს მოყვანა ბევრი შეიძლება. შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და საკოლმეურნეო დოკლათის დაცვისათვის შეუპოვრად იბრძვიან სახალხო კონტროლიორები შ. ბობოხიძე, ი. კაკოშვილი, ი. სარაშვილი, ნ. შერაბიშვილი და სხვები, მაგრამ ასე რიდი თქმის ყველაზე.

მემინდვრეობის № 7 და № 10 ბრიგადებში საუშაოები უხარისხოდ მიმდინარეობდა, ირღვეოდა შრომის დისციპლინა. მაგრამ აქაური საგუშაგოს წევრები ვ. მერაბიშვილი, რ. ყულიანაშვილი ამას თითქოს ვერ ხედავდნენ, ხმას არ იღებდნენ. ასევე ცუდად მუშაობდნენ ამ ბრიგადაში, რომელსაც დ. ზაზაშვილი ხელმძღვანელობს. შეფერხებით მუშაობდა მექანიზატორ ნ. მერაბიშვილის კარტოფილსარგავი. რადგან ვერ ასწრებდნენ სათესლე კარტოფილით მის შომარგებას. ამ და სხვა ნაკლოვანებებს უბნის კონტროლის ჯგუფის წევრები ვ. ბოკვორიშვილი, შ. გვარამაძე, ზ. ვარდოსანიძე, დ. ზაზაძე, თ. მაღლაფერიძე ვერ ამჩნევდნენ.

კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობაში არის სხვა ნაკლოვანებებიც. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტი, საუბნო და საბრიგადო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევენ მათ.

კოლმეურნეობაში ამას წინათ დამთავრდა კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნები. საარჩევნო კრებებზე ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა და საქმიანი წინადადებები წამოაყენეს. ჩვენ ყოველთვის ამას გავითვალისწინებთ და ვიზრუნებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს სახალხო კონტროლიორთა აქტიურობა და პასუხისმგებლობა მიღებულ დადგენილებათა და ეალდებულებათა წარმატებით შესრულების საქმეში. ჩვენ კარგად გვესმის, რომ სახალხო კონტროლის ძალა მისდამი სწორ პარტიულ ხელმძღვანელობაშია.

ა. მაისურაძე.
ადიგენის რაიონის ხოფელ უდის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ცხინვალის ჭარხანა „ელექტროვიბრომანქანის" პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც.

ეს ჭარხნის კოლექტივს აკალებს, რომ მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვას.

გამოშვებული პროდუქციის ხარისხის აშალებისათვის დიდ, საზარგებლო მუშაობას ეწევა ჭარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფი.

სურათზე: მარჯვნივ — სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ნაშუორიძე, ვ. ხარებოვი და ვ. ჭიოევი ამოწმებენ მეგრაგნილე გ. რომელაშვილის მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

მ. სოსოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2666 ავტოკოლონის კოლექტივმა (უფროსი გ. აზმაიფარაშვილი) 6 თვის გეგმა ოცი აგვისისათვის შესრულა. ამ საერთო წარმატებაში ერთგვარი წვლილი სახალხო კონტროლიორებსაც შეაქვთ. სურათზე: მარცხნივ — კოლონის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან): მ. ბარნოვი, ჯ. მუხოიანი, № 1 რაზმის უფროსი ზ. კარანაძე და მთავარი მექანიკოსი ნ. ფოჩოფოლაძე ამოწმებენ ხატვირთო ავტომანქანის ტექნიკურ მდგომარეობას ხამუშაოზე გასვლის წინ.

ბ. ბოგოსიას ფოტო.

კონტროლი მოქმედებს

გულგრილობა საქმეს ვნებს

რატომ ფერხდება სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდება.

უკანასკნელ წლებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებასა ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მდგომარეობა. ადიღეგრა ახალი ბიზნეს-ფორმა — მეურნეობებში საქონლის ცენტრალიზებული წესით და სასოფლო-სამეურნეო მანქანების აწყობილ-დარეგულირებული სახით შეხდება.

მაგრამ, როგორც ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემოწმებით დადგინდა, ამ საქმეში ძველი სერიოზული ნაკლოვანებები.

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში შენიშნული ობიექტების მოწყობილობა-დანადგარებს დროულად დასაკომპლექტებლად „საქსოფლტექნიკამ" ამ ორიოდე წლის წინათ სპეციალურად შექმნა კომპლექტაციის კანტორა. მაგრამ იგი სრულყოფილად ვერ უკასუხებს თავის დანიშნულებას. ეს კი შენიშნული ობიექტების ექსპლუატაციაში დროულად გაშვებას აფერხებს.

„საქსოფლტექნიკის" ზოგიერთი გაერთიანება და განყოფილება, რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოები სუსტად ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების რეალურ მოთხოვნაზე განცხადების სწორად შედგენაში... ამის გამო ზოგჯერ განცხადებაში ისეთი სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღია, რომლებიც მეურნეობებს არ სჭირდებათ. გარდა ამისა, არის ფაქტები, როცა „საქსოფლტექნიკის" ბაზებში და რაიონულ გაერთიანებებში ისეთი მატერიალური ფასეულობები შეაქვთ, რომელზეც მოთხოვნილება არ არის. ამის ერთ-ერთ მიზეზად ის ჩანს, რომ ეს ფასეულობები ადგილობრივ ფირმებს, საბჭოთა მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, ზოგან კი ერთ-ერთ ადგილებზე საფოფლო-დასაკლისნაც.

„საქსოფლტექნიკის" ქუთაისის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზაში შარშან შეზიდული ფ-1 მარკის 200 ცალი ბალების სამსხვრევი ავტოგადიდან 45-ზე უარი თქვეს „საქსოფლტექნიკის" წყალტუბოს, წულუკიძის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენინის, გეგეჭკორის, ხობის და წალენჯიხის რაიონულ გაერთიანებებ-განყოფილებ ებმ ა. მოთხოვნილებების გათვალისწინებლად არას შეზიდული და არ არის რეალიზებული სხვადასხვა სახის მანქანა-იარაღები და სათადარიგო ნაწილები „აქსოფლტექნიკის" ბათუმის ბაზაში, ბახვიაძის რაიონულ გაერთიანებაში და სხვაგან.

ყოველივე ამის გამო „საქსოფლტექნიკის" სისტემაში დაგვის გადაზიდვებით 8,2 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელია გადაზიდული. ბაზებში დაგროვებული საქონლის ზენორმატიული ნაშთმა 3,2 მილიონი მანეთი შეადგინა.

„საქსოფლტექნიკის" სარეალიზაციო ბაზება, რაიონული გაერთიანებები და განყოფილებები მატერიალურ-ტექნიკური საშუალებათა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ ამარაგებენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, ზოგან კი ერთეულ ადგილებზე საფოფლო-დასაკლისნაც.

„საქსოფლტექნიკის" ბაზებში და რაიონულ გაერთიანებებში ისეთი მატერიალური ფასეულობები შეაქვთ, რომელზეც მოთხოვნილება არ არის. ამის ერთ-ერთ მიზეზად ის ჩანს, რომ ეს ფასეულობები ადგილობრივ ფირმებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს ადგილობრივ ფირმებს, საბჭოთა მეურნეობებს, ზოგჯერ ეს ფასეულობები

შეჯიბრების მოწინააღმდეგენი

საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (მარცხნიდან): ქობულეთის რაიონის სოფელ ბალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზურაბ ნასაძე, თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ მუშა ლამარა თოფურია, თბილისის ფაბრიკის „ისანის“ მუშა ანზორ დათიაშვილი, ჩხოროწყუს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ეთერ ცირამუა.

ფ. გინზბურგის ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულებები, რომლებიც რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად მიმდინარე სესიამ უნდა დამტკიცოს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ნება მომეცით ამ ბრძანებულებათა შესახებ მოგახსენოთ.

1976 წლის 28 მაისის ბრძანებულებით შეტანილია ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში. ამ მუხლის ადრე მოქმედი რედაქცია შეიცავდა იმ კომიტეტების, სამმართველოებისა და კომისიების კონკრეტულ ნუსხას, რომელთა ხელმძღვანელები ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან. ახალი რედაქციის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან იმ სახელმწიფო კომიტეტების, სამმართველოების, კომისიებისა და მინისტრთა საბჭოს სხვა უწყებების ხელმძღვანელები, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ქმნის, ამრიგად, ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლება მიეცათ რესპუბლიკის ადგილობრივი პირობებისა და მეურნეობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრონ ამ რესპუბლიკების მთავრობათა შემადგენლობა.

1976 წლის 28 მაისის ბრძანებულებით რაიონული დაქვემდებარების ქალაქი წყალტუბო რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაიქმნა და წყალტუბოს რაიონი გაუქმდა. ამ ბრძანებულების დამტკიცებასთან ერთად საჭიროა სათანადო ცვლილებების შეტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 მუხლში, რომელშიც რესპუბლიკაში შემავალი რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ნუსხაა მოცემული.

